

სუპერმშენ + ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო
სტანდარტის მცირე და საშუალო საწარმოების (მსს ფასს) მიხედვით

2023 საანგარიშგებო პერიოდზე.

შინაარსი

- 1.ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
- 2.სრული შემოსავლის ანგარიშგება
- 3.საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიში
4. ფულადი ნაკადების ანგარიშგება
- 5.ფინანსური ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

შპს სუპერმშენ + 445558833
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული 1GEL

	საანგარიშო პერიოდი		
	12/31/2023	12/31/2022	1/1/2022
აქტივები			
<i>მიმდინარე აქტივები, სულ :</i>	10136922	8375513	1839968
ფული და ფულის ექვივალენტები	349379	1320270	208804
გაცემული მიმდინარე სესხები			
სავაჭრო მოთხოვნები	0		
მიღებული ავანსების დღგ	1563002	1044842	-2420959
გადახდილი ავანსები	165501	173061	
ბიუჯეტში გადახდილი თანხა	46	16097	6860
მარაგები	181417	359756	195349
სხვა მიმდინარე აქტივები	7877577	5461487	3849914
<i>გრძელვადიანი აქტივები, სულ:</i>	1732598	1763901	1701055
ძირითადი საშუალებები	176211	207514	144668
არამატერიალური აქტივები			
აქტივი (მიწა)	1556387	1556387	1556387
გრძელვადიანი ფინანსური აქტივები			
სულ აქტივები:	11869520	10139414	3541023
ვალდებულებები და კაპიტალი			
<i>მოკლევადიანი ვალდებულებები, სულ:</i>	10302182	6888495	94392
<i>სხვა ვალდებულებები (მიღებული ავანსები)</i>	10246337	6849509	
სავაჭრო ვალდებულებები	7687	18428	94392
სახვა ვალდებულება (საპენსიო)			0
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულებები	48158	20558	
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები, სულ:</i>	0	0	0
<i>გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები</i>			
სულ კაპიტალი:	1567338	3250919	3446631
საწესდებო (სააქციო) კაპიტალი	200	200	200
დაგროვილი მოგება/დაუფარავი ზარალი	-597890	-413505	-166403
სხვა საკუთარი კაპიტალი	2165028	3664224	3612834
არამაკონტროლებელი წილი			
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	11869520	10139414	3541023

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 09.05.2024წ

დირექტორი ----- რუსლან ჯუმუშაძე

თანხმლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი

შპს სუპერმშენ + 445558833
 ფულადი ნაკადების ანგარიშგება
 (საოპერაციო საქმიანობიდან ნაკადების წარდგენის პირდაპირი მეთოდით)
 ერთეული: 1GEL

	საანგარიშო პერიოდი	
	2023	2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მიყიდვლისა და დამკვეთისგან მიღებული ფულადი სახსრები	3432016	4033140
სხვა შემოსულობანი საოპერაციო საქმიანობიდან	12540	51684
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	-2346060	-2111071
გაცემული შრომის ანაზღაურება	-254444	-328727
საპენსიო ანარიცხები	-11204	-13924
გადახდილი გადასახადები	-290494	-522585
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	-6511	-2363
ფულადი სახდრების წმინდა ნაზარდი საოპერაციო საქმიანობიდან	535843	1106154
ფულადი ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა		
სესხის გაცემა		
გაცემული სესხის დაბრუნება		0
მიღებული პროცენტები		
სხვა შემოსულობანი/განაცემი საინვესტიციო საქმიანობიდან (ნეტო)		
ფულადი სახსრების წმინდა ნაზარდი საინვესტიციო საქმიანობიდან	0	0
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:		
სესხის აღება		
სესხის დაფარვა		
გადახდილი პროცენტები		
გადახდილი დივიდენდები		
სხვა შემოსულობანი/გაცემები საფინანსო საქმიანობიდან (ნეტო)	-1499195	51390
ფულადი სახსრების წმინდა ნაზარდი საფინანსო საქმიანობიდან	-1499195	51390
ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა/კლება (ნეტო)	-7539	-46077
ფულადი სახსრების წმინდა ნაზარდი:	-970891	1111467
ფულადი სახსრები (ექვივალენტი) პერიოდის დასაწყისისათვის:	1320270	208803
ფულადი სახსრები (ექვივალენტი) პერიოდის ბოლოსათვის:	349379	1320270

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 09.05.2024წ

დირექტორი -----რუსლან
 ჯუმუშაძე

თანხმლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი

შპს სუპერმშენ + 445558833
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
ერთეული 1GEL

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2022	2022
ნეტო ამონაგები	0	5384
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	0	-5384
მოგება ან ზარალი რეალიზაციიდან	0	0
მიწოდების ხარჯები	-7305	-38226
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-177397	-153127
და სულ საოპერაციო ხარჯები	-184702	-191353
ფინანსური შემოსავლები		
დადებითი საკურსოს სხვაობები	43254	45479
სხვა გაუთვალისწინებელი შემოსავლები	7673	26159
სულ არასაოპერაციო შემოსავლები	50927	71638
ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან		
ფინანსური დანახარჯები		
საგადასახადო ჯარიმები და საურავები		
უარყოფითი საკურსოს სხვაობები	-50512	-127267
სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები	-98	-120
სულ არასაოპერაციო ხარჯები	-50610	-127387
მოგება დაბეგვრამდე:	-184385	-247102
მოგების გადასახადის ხარჯი		
სულ პერიოდის მოგება ან ზარალი	-184385	-247102
მათ შორის მოგება ან ზარალი მისაკუთვნებელი:		
სათავო საწარმოს მესაკუთრეებზე	-184385	-247102
არამაკონტროლებელ წილზე		
სხვა სრული შემოსავალი		
სულ პერიოდის სხვა სრული შემოსავალი გადასახადის გამოკლებით		
სულ საანგარიშო პერიოდის სრული შემოსავალი:	-184385	-247102
მათ შორის სრული შემოსავალი მისაკუთვნებელი:		
სათავო საწარმოს მესაკუთრეებზე	-184385	-247102
არამაკონტროლებელ წილზე		

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 09.05.2024წ

დირექტორი -----

რუსლან ჯუმუშაძე

თანხმლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი

შპს სუპერმშენ + 445558833
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

ერთეული: 1GEL

	სააქციო/ საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილ მოგება/ დაუფარავი ზარალი	სხვა სრული დამატებითი შენატანი შემოსავალი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 01.01.2022	200	-166403	3612834	3446631
სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლით გამოწვეული კორექტირებები				
შეცდომის გამოსწორებით გამოწვეული კორექტირებები				
კორექტირების შედეგად დაანგარიშებული ნაშთები				
საანგარიშო პერიოდის მოგება ან ზარალი		-247102		-247102
ძირ.საშ. და არამატ. აქტ. გადაფასებიდან შემოსული მოგება ან ზარალი				0
ფინანსური აქტივების შეფასებიდან შემოსულობები ან ზარალი				0
სხვა ცვლილებები სრულ შემოსავალში				
საანგარიშო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		-247102		-247102
მესაკუთრების დამატებითი შენატანი კაპიტალში			51390	51390
საკუთარი წილობრიბი ინსტრუმენტების გამოსყიდვა მესაკუთრებისაგან განაწილებული დივიდენდი				0
სულ მესაკუთრებთან განხორციელებული ოპერაციები	0	0	51390	51390
ნაშთი 01.01.2023-თვის	200	-413505	3664224	3250919
სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლით გამოწვეული კორექტირებები				
შეცდომის გასწორებით გამოწვეული კორექტირებები				
კორექტირების შედეგად დაანგარიშებული ნაშთები				
საანგარიშო პერიოდის მოგება ან ზარალი		-184385		-184385
ძირ.საშ. და არამატ. აქტ. გადაფასებიდან შემოსულობები ან ზარალი				
ფინანსური აქტივების შეფასებიდან შემოსულობები ან ზარალი				
სხვა ცვლილებები სრულ შემოსავალში				
საანგარიშო პერიოდში მთლიანი სრული შემოსავალი		-184385		-184385
მესაკუთრების დამატებითი შენატანი კაპიტალში			120000	120000
მესაკუთრებისაგან კაპიტალის გატანა განაწილებული დივიდენდი			-1619196	0
სულ მესაკუთრებთან განხორციელებული ოპერაციები		0	-1499196	120000
ნაშთი 01.01.2024-თვის	200	-597890	2165028	1567338

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 09.05.2024წ

დირექტორი ----- რუსლან ჯუმუშაძე

თანხმლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი

1. ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს “სუპერმშენ +” (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2019 წლის 24 მაისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მარეგისტრირებული ორგანო სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო ნომრით 445558833 კომპანია რეგისტრირებულია დღგ-ს გადამხდელად 2019 წლის 24 მაისს.

კომპანიის იურიდიული მისამართი საქართველო, ქ. ბათუმი, შ. ინასარიძის ქ., N 9: ფაქტიური მისამართი: ქ. ბათუმი თამარმეფის გამზირი 48 ა

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა.

ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის კომპანიის დირექტორია:

1. რუსლან ჯუმუშაძე, 61002021017/ საქართველო/.

ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის კომპანიის დამფუძნებელია:

1. რუსლან ჯუმუშაძე 3/6 61002021017 – 50%
2. ნინო ბოლქვაძე 3/6 61004055245 – 50%

კომპანიას არ გააჩნია შვილობილი საწარმოები და კომპანია თავის ფინანსურ ანგარიშგებას წარადგენს დამოუკიდებლად, მას არ გააჩნია კონსოლიდირებული ანგარიშგების მომზადების და წარდგენის ვალდებულება.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და საადრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) . საწარმოს ფინანსური ანგარიშგების შედგენისას გამოიყენება პირვანდელი ღირებულების შეფასების მეთოდი. აქტივის აღრიცხვა ხდება მისი შეძენის დროს გადახდილი ფულადი სახსრების ან მათი ექვივალენტების ოდენობით, ან იმ რეალური ღირებულებით, რომელიც უნდა გადახდილიყო მისი შეძენის მომენტში. ვალდებულება აღირიცხება იმ აქტივის თანხის სიდიდით, რომელიც მიღებულია მოცემული ვალდებულების სანაცვლოდ.

ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანია მუშაობს საამშენებლო ბაზარზე, რაც გულისხმობს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობას. არსებული საოპერაციო საქმიანობით არსებითად განსაზღვრულია სამომავლო ოპერაციები რათა უზრუნველყოს ვალდებულებების დაფარვა მისი გადახდის ვადის დადგომისას.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მომავალში მისი ფუნქციონირების ასპექტიდან გამომდინარე, რომელიც გულისხმობს მომსახურებიდან მისაღები შემოსულობების და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში. ამდენად ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს ასახული აქტივების რაიმე კორექტირებას, რომელიც აუცილებელი

იქნებოდა, თუ შპს სუპერმშენ + ვერ შეძლებდა გაეგრძელებინა თავის ჩვეულებრივი საქმიანობა მომავალში.

საადრიცხო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ზოგადი

ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების მიერ კომპანიის ფინანსური მდგომარეობისა და მისი საქმიანობის შედეგების ტენდენციების გაანალიზების მიზნით, შესაძარისობის პრინციპიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ფინანსური ანგარიშგების უწყისებში შეგვეტანა წინა 2020; 2021 და 2022 წლების საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ინფორმაცია.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- ა) ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებას.
- ბ) სრული შემოსავლის ანგარიშგებას
- გ) საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგებას
- დ) ფულადი ნაკადების ანგარიშგებას (პირდაპირი მეთოდით)
- ე) განმარტებით შენიშვნებს.

ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში.

საანგარიშგებო პერიოდს წარმოადგენს სრული კალენდარული წელი.

(ა) უცხოური ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტაა ლარი, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც კომპანია ეწევა საქმიანობას. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები საწყისად აღიარდება ოპერაციის დღის კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში

წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით, პირვანდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით.

კურსები საანგარიშო პერიოდის ბოლოს :

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6894 ლარი;

1 EUR=2.9753 ლარი.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.7020 ლარი;

1 EUR=2.8844 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

2023 წელს: 1 USD=2.6279 ლარი;

1 EUR=2.8416 ლარი.

2022 წელს: 1 USD=2.9123 ლარი

1 EUR=3.0690 ლარი.

(ბ) შემოსავლის აღიარება

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი შემცირებულია მოსალოდნელი უკანდაბრუნებით, მოსალოდნელი ფასდაკლებით და მსგავსი ანარიცხებით.

პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები

პროდუქციის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

- ა) კომპანია მყიდველს გადასცემს პროდუქციის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;
- ბ) კომპანია არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;
- გ) შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა;
- დ) მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალ პერიოდში გასაწევი ხარჯების საიმედოდ განსაზღვრა.

მომსახურების გაწვიდან მიღებული შემოსავლები

მომსახურების გაწვიდან მიღებული შემოსავლები აღიარდება როცა დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

- ა) ამონაგების თანხის განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ;
- ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში;
- გ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ დადგენა, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს;
- დ) შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესრულებისათვის საჭირო დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

(გ) სავაჭრო ვალდებულებები და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი აქტივები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით.

დებიტორულ და ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ სავაჭრო ვალდებულებებს პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო მოთხოვნა-ვალდებულებები გადაანგარიშდება ორგანიზაციის ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით, საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება არასაოპერაციო შემოსავალში ან არასაოპერაციო ხარჯებში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნა-ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი ან გადასახდელი. ამგვარი

მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი ან შემოსავალი აღიარდება მოგება/ზარალში.

(დ) გადასახადები

დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევის გარდა:

► თუ აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, რა შემთხვევაშიც დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე.

ქონების გადასახადი

ქონების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია, კომპანიის საკუთრებაში არსებული გრძელვადიანი აქტივები, ქონების კუთვნილი გადასახადი გაიანგარიშება წელიწადში ერთხელ ქონების საშუალო წლიური ღირებულებიდან და წელიწადში ერთხელ გასული წლის გადასახადის ოდენობით მიმდინარე გადასახადის სახით.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადით იბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგებას, რომელიც მიღებული იქნა. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. საქართველოს საგადასახადო კოდექსი ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად, როგორცაა მაგალითად, არასაბაზრო ფასად შესრულებული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება. ასეთი ოპერაციების დაბეგვრა სცდება ბასს 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ მოქმედების არეალს და 2017 წლის 1 იანვრიდან აღირიცხება საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების მსგავსად.

(ე) ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები შედგება სალაროში არსებული ნაღდი ფულისა და საბანკო ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრებისგან. ფულად ექვივალენტებში ჩაირთვება სამ თვემდე დაფარვის მაღალლიკვიდური ინვესტიციები, რომელთა გადაქცევა ფულად ფორმაში შეიძლება ადვილად და მათი ღირებულების შეცვლის რისკი მინიმალურია.

(ვ) ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან

უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ხდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რამე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შედარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება/ზარალში

ძირითადი საშუალებების ცვეთა

ცვეთის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, რადგან იგი ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას. ცალკეული აქტივის მნიშვნელოვანი კომპონენტები ფასდება და თუ ამ კომპონენტს აქტივის დანარჩენი ნაწილისგან განსხვავებული სასარგებლო გამოყენების ვადა აქვს, მისი ცვეთა განსხვავებულად ხორციელდება. მიწის ცვეთა არ ხდება.

ძირითადი საშუალებები

შენობები

მანქანა დანადგარები

ავეჯი და სხვა ინვენტარი

დაცვის სისტემები

სატრანსპორტო საშუალებები

სასარგებლო გამოყენების ვადები

30 - 50 წლამდე

5 - 10 წლამდე

5 - 10 წლამდე

5 - 10 წლამდე

5 - 10 წლამდე

აღიარების შეწყვეტა

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება თუ ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან წმინდა შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, აქტივის აღიარების შეწყვეტისთანავე.

აქტივების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ყოველწლიურად და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება შესაბამისად.

(ზ) არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დარიცხული ამორტიზაცია და გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგები, ასეთის არსებობის შემთხვევაში. არამატერიალური აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადა ფასდება სასრულად და შეზღუდულია 5-15 წლამდე.

სასრული სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზება ხდება სასარგებლო გამოყენების ვადის პერიოდში და გაუფასურების ოდენობის დასადგენად გადაფასდება მაშინ, როდესაც რამე მიანიშნებს ამ არამატერიალური აქტივის შესაძლო გაუფასურებაზე. ამორტიზაციის პერიოდი და მეთოდი სასარგებლო გამოყენების სასრული ვადის მქონე არამატერიალური აქტივის შემთხვევაში მინიმუმ ყოველი ანგარიშგების პერიოდის ბოლოს გადაისინჯება. მოსალოდნელი სასარგებლო გამოყენების ვადის ან აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელი ათვისების ცვლილება აღირიცხება ამორტიზაციის პერიოდის ან მეთოდის შესაბამისად შეცვლით და განიხილება, როგორც საადრიცხვო შეფასებებში მომხდარი ცვლილება. სასრული ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში არამატერიალური აქტივების ფუნქციების შესაბამის ხარჯის კატეგორიაში.

კომპანია არ ფლობს სასარგებლო გამოყენების შეუზღუდავი ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს.

არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ფასდება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, როდესაც აქტივის აღიარება წყდება.

(თ) სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით. მარაგების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და, საერთოდ, იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან.

სხვადასხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში.

გასაყიდად გამიზნული მარაგების გაყიდვის თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამის შემოსავალი. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანუღირების) თანხა კი აღიარდება იმ მარაგების თანხის შემცირებად, რომელიც ხარჯადაა აღიარებული პერიოდში, როდესაც მოხდა უკუგატარება.

(ი) მომუშავეთა გასამრჯელო

საწარმო დასაქმებულ პირებზე გადასხდელი გასამრჯელოს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია ხელფასთან, ფასიან შვებულებასთან და ბიულეტენტან, აღიარებს იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც დასაქმებული პირები გასწევენ შესაბამის მომსახურებას. მომუშავეთა მოკლევადიან გასამრჯელოებთან დაკავშირებული გასამრჯელოები ფასდება იმ თანხის არადისკონტირებული ოდენობით, რომლის გადახდასაც საწარმო აპირებს გაწეული მომსახურებისათვის. ვალდებულების სახით აღიარებული მოკლევადიანი გასამრჯელო აღიარდება როგორც ხარჯი, თუ სტანდარტის რომელიმე თავი არ მოითხოვს, რომ გასამრჯელოები ჩაირთოს აქტივის თვითღირებულებაში. ანალოგიურად, ანაზღაურებადი შვებულების ფორმის დასაქმებული პირის მოკლევადიანი გასამრჯელოებისთვის მოსალოდნელი დანახარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც დაფიქსირდება სამუშაოზე არყოფნის ფაქტი.

(კ) ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები, მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

ვალდებულების წარმომშობი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- კანონმდებლობიდან; ან
- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:

წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიაჩნის სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და

- შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

(ლ) ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანიას ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებში მოიაზრება ნებისმიერი აქტივი, რომელიც წარმოადგენს: ფულად სახსრებს, სხვა საწარმოს წილობრივ ინსტრუმენტს და სხვა საწარმოსგან ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის მიღების სახელშეკრულებლო უფლებას. ფინანსური აქტივის თვითღირებულების აღიარება ხდება თავდაპირველი აღიარების მომენტში განსაზღვრული ღირებულებით, რომელსაც ემატება თავდაპირველი აღიარების თარიღიდან საანგარიშგებო თარიღამდე დამატებით დარიცხული საპროცენტო შემოსავალი, აკლდება თავდაპირველად აღიარების თარიღიდან საანგარიშგებო თარიღამდე მიღებული ძირისა და პროცენტის თანხები და აკლდება გაუფასურების ზარალის თანხა.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანია არ იყენებდა რაიმე ტიპის სვოპ და ფორვარდულ კონტრაქტებს, სავალუტო და საპროცენტო რისკების შემცირებისთვის.

(მ) ხარჯად აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

საზოგადოება ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულ ყველანაირი დანახარჯს აღიარებს როგორც ხარჯს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

(ნ) გარიგებები დაკავშირებულ მხარეებს შორის

წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში მხარეები განიხილებიან დაკავშირებული მხარეების სახით, თუ ისინი იმყოფებიან საერთო კონტროლის ქვეშ, კერძოდ ორივე საწარმოს აკონტროლებს ერთი და იგივე პიროვნება. თითოეულ დაკავშირებულ მხარეს შორის ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება გამახვილებულ უნდა იქნას უშუალოდ ამგვარი ურთიერთობის არსზე და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმაზე.

(ო) ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასება

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მსგავსი შეფასებები და დაშვებები მუდმივად მუშავდება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, მათ შორის, ისეთი მომავალი მოვლენების გათვალისწინებით, რომელიც მოსალოდნელია გონივრულ ფარგლებში. მომავალში მიღებული ფაქტობრივი შედეგი შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისა და დაშვებებისგან.

1. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2022 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	2022 წელი ზრდა ან შემცირება	2022 წელი დარიცხული ცვთა	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	2022 წელი ზრდა ან შემცირება	2022 წელი დარიცხული ცვთა	ნაშთი 01.01.2022 მდგომ.
კომპიუტერები და აღჭურვილობა	1952	144	713	2521	1518	460	1463
ავტო და სხვა ინვენტარი	1075	0	683	1758		683	2441
სარეკლამო დანიშნულების ძირითადი საშუალებები	876		644	1520		644	2164
მანქანადაწადგ არები	101704	0	14420	116124	0	14420	130544
სამშენებლო მოწყობილობე ბი	58711	0	6958	65669	69580	3911	0
ოფისის აღჭურვილობა	309	0	195	504	0	195	699
ელექტრონული მოწყობილობე ბი	395	59	229	565	0	214	773
სხვა ძირითადი საშუალება	10088	-3413	3475	16976	16909	4420	4487
არამატერიალუ რი (საბუღალტრო პროგრამა)	421	0	133	554	0	134	688
მცირეფასიანი	677	-476	170	1323	-86	0	1409
სულ:	176208	-3686	27620	207514	87927	25081	144668

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვთის თანხა შეადგენდა:

2023 წლის ბოლოს-70672 ლარი;

2022 წლის ბოლოს-43052 ლარი;

ძირითადი საშუალებები არის მატერიალური აქტივები, რომლებიც:

იმყოფება საწარმოს განკარგულებაში და გამოიყენება საქონლის წარმოებაში, საქონლის ან მომსახურების მისაწოდებლად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის; გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად.

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შეძენის ღირებულებას, შეძენაზე დაუბრუნებად გადასახადებს, ასევე პირდაპირი ხარჯებს, ადგილამდე მოწოდებასთან დაკავშირებით სამუშაო მდგომარეობაში მოყვანამდე. კომპანია ცვთის გაანგარიშგებისთვის იყენებს წრფივ მეთოდს.

„კომპანიას“ ძირითადი საშუალებების სახით ერიცხება სხვადასხვა სპეციფიკის დანადგარები, საოფისე ინვენტარი, კომპიუტერული ტექნიკა. არამატერიალური აქტივი კომპანიას ერიცხება ბუღალტრული პროგრამის სახით.

2. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
საქონელი	0	0
ნედლეული და მასალები	181417	359756
დაუმთავრებელი წარმოება	7877577	5461487
	8058994	5821243

3. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	0	0
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	253538	580287
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	95841	739983
	349379	1320270

4. მიღებული ავანსები

მიღებული ავანსები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
მიღებული ავანსები	10246337	6849509
	10246337	6849509

5. გადახდილი ავანსები:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 01.01.2022 მდგომარეობით
რეზიდენტ მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები	165501	173061	
არარეზიდენტ მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები	0	0	0
სულ:	165501	173061	0

6 სავაჭრო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 01.01.2022 მდგომარეობით
დავალიანება რეზიდენტი მიმწოდებლის მიმართ	7687	18428	94392
დავალიანება არარეზიდენტი მიმწოდებლის მიმართ	0	0	0
სულ:	7687	18428	94392

7. საგადასახადო ვალდებულება

საგადასახადო ვალდებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
ერთიანი საგადასახადო ანგარიში	48158	20558
	48158	20558

8. შემოსავალი რეალიზაციიდან

შემოსავალი რეალიზაციიდან 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
შემოსავალი რეალიზაციიდან	0	5384
	0	5384

9. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(0)	(5384)
	(0)	(5384)

10. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი

სხვა საოპერაციო შემოსავალი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
დადებითი საკურსოს შემოსავალი	43254	45479
გაუთვალისწინებელი შემოსავალი	7673	26159
	50927	71638

11. არასაოპერაციო ხარჯები:

	2023 წელი	2022 წელი
საპროცენტო ხარჯები	0	0
ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან	0	0
უარყოფითი საკურსო სხვაობები	50512	127267
საგადასახადო ჯარიმები და საურავები	0	0
სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები	98	120
სულ:	50610	127387

12. ზოგადი ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯი

ზოგადი ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2022	2022
შრომის ანაზღაურება	(124610)	(111573)
ბანკის მომსახურების საკომისიო	(6276)	(2363)
საკანცელარიო ხარჯი	(603)	(789)
წყლის და კანალიზაციის ხარჯი	(929)	(1213)
ელექტროენერგიის ხარჯი	(7408)	(6477)
მარკეტინგული ხარჯი	(7305)	(38225)
ცვეთა და ამორტიზაცია	(27620)	(25081)
სხვა საგადასახადო ხარჯი	(2216)	(1714)
საპენსიო ხარჯი	(2330)	(2095)
სხვა საერთო ხარჯი	(5405)	(1823)
	(184702)	(191353)

13. საკუთარი კაპიტალი:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 01.01.2022 მდგომარეობით
წესდებით დადგენილი კაპიტალი	200	200	200
დამატებითი შენატანი კაპიტალში	2165029	3664224	3612834
გაუნაწილებელი მოგება ან ზარალი	-597890	-413505	-166403
სულ:	1567399	3250919	3446631

16. ფაქტური და პოტენციური ფინანსური ვალდებულებები

საგადასახადო სისტემა

საქართველოში მოქმედებს საგადასახადო კოდექსი, რომელიც ადგენს სამართლებრივ მექანიზმებს გადასახადების დარიცხვასა და გადახდასთან. ძირითადი გადასახადები, რომლებიც ამოიღება საქართველოში არის მოგების გადასახადი, საშემოსავლო გადასახადი ფიზიკური პირებიდან, დღგ, ქონების გადასახადი, მიწის გადასახადი და სხვა გადასახადები.

საგადასახადო დეკლარაციის შედგენის სისწორე მოწმდება საქართველოს სხვადასხვა სახის მაკონტროლებელი ორგანოების მიერ.

ხელმძღვანელობა თვლის, რომ კომპანიის საქმიანობა ხორციელდება კანონთან სრულ შესაბამისობაში იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს შედარებით გაურკვევლობა ამა თუ იმ გადასახადის გადახდასთან დაკავშირებით, დარიცხვები ხორციელდება ხელმძღვანელობის მიერ ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე.

იურიდიული ვალდებულებები

კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში არა აქვს რაიმე სახის იურიდიული ვალდებულება ან მოთხოვნა, რომლის ფარგლებშიც მიმდინარეობს სამართლებრივი დავა.

დაზღვევა

კომპანიას საანგარიშო პერიოდში არ სარგებლობს სადაზღვევო მომსახურებით.

1. ფინანსური რისკის ფაქტორები

სავალუტო რისკი

კომპანიის ოპერაციები ხორციელდება როგორც ეროვნულ ვალუტაში, ისე უცხოურ ვალუტაში. დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები წარმოიქმნება უცხოურ ვალუტაში. ასეთი სიტუაცია იწვევს საკურსო სხვაობის ცვლილებით გამოწვეული რისკების არსებობას. თუმცა დებიტორულ და კრედიტორულ დავალიანებებზე წარმოიქმნება საკურსო სხვაობები, რომლებიც ჩართულია ანგარიშგებებში.

ლიკვიდურობის რისკი

კომპანიის ამოცანაა შეინარჩუნოს ბალანსი უწყვეტი დაფინანსებისა მოქნილობაში, რომელიც წარდგება მომწოდებლებისაგან. კომპანია ახდენს დავალიანებების ვადიანობის ანალიზს და გეგმავს მის ლიკვიდურობას შესასრულებელი ვალდებულებების ვადების შესაბამისად. არასაკმარისი ლიკვიდურობის პირობებში მოიზიდავს დამატებით დაფინანსების წყაროებს.

შპს სუპერმშენ + 445558833
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	საანგარიშო პერიოდი		
	12/31/2023	12/31/2022	1/1/2022
აქტივები			
მიმდინარე აქტივები, სულ :	10136922	8375513	1839968
ფული და ფულის ექვივალენტები	349379	1320276	208804
გაცემული მიმდინარე სესხები			
სავაჭრო მოთხოვნები	0		
მიღებული ავანსების დღგ	1563002	1044842	-2420959
გადახდილი ავანსები	165501	173061	
ბიუჯეტში გადახდილი თანხა	46	16097	6860
მარაგები	181417	359756	195349
სხვა მიმდინარე აქტივები	7877577	5461487	3849914
გრძელვადიანი აქტივები, სულ:	1732598	1763901	1701055
ძირითადი საშუალებები	176211	207514	144668
არამატერიალური აქტივები			
აქტივი (მიწა)	1556387	1556387	1556387
გრძელვადიანი ფინანსური აქტივები			
სულ აქტივები:	11869520	10139414	3541023
ვალდებულებები და კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები, სულ:	10302182	6888495	94392
ვალდებულებები (მიღებული ავანს)	10246337	6849509	
სავაჭრო ვალდებულებები	7687	18428	94392
სხვა ვალდებულება (საპენსიო)			0
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულებები	48158	20558	
გრძელვადიანი ვალდებულებები, სულ:	0	0	0
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები			
სულ კაპიტალი:	1567338	3250919	3446631
საწესდებო (სააქციო) კაპიტალი	200	200	200
დაგროვილი მოგება/დაუფარავი ზარალი	-597890	-413505	-166403
სხვა საკუთარი კაპიტალი	2165028	3664224	3612834
არამაკონტროლებელი წილი			
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	11869520	10139414	3541023

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 09.05.2024წ

დირექტორი რუსლან ჯუმუშაძე

თანხმლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი

შპს სუპერმშენ + 445558833
 ფულადი ნაკადების ანგარიშგება
 (საოპერაციო საქმიანობიდან ნაკადების წარდგენის პირდაპირი მეთოდით)
 ერთეული: 1GEL

	საანგარიშო პერიოდი	
	2023	2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მყიდველია და დამკვეთისგან მიღებული ფულადი სახსრები	3432016	4033140
სხვა შემოსულობანი საოპერაციო საქმიანობიდან	12540	51684
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	-2346060	-2111071
გაცემული შრომის ანაზღაურება	-254444	-328727
საპენსიო ანარიცხები	-11204	-13924
გადახდილი გადასახადები	-290494	-522585
საოპერაციო საქმიანობასთან უკავშირებული სხვა გაცემები	-6511	-2363
ფულადი სახსრების წმინდა ნაზარდი საოპერაციო საქმიანობიდან	535843	1106154
ფულადი ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა		
სესხის გაცემა		
გაცემული სესხის დაბრუნება		0
მიღებული პროცენტები		
სხვა შემოსულობანი/განაცემი საინვესტიციო საქმიანობიდან (ნეტო)		
ფულადი სახსრების წმინდა ნაზარდი საინვესტიციო საქმიანობიდან	0	0
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:		
სესხის აღება		
სესხის დაფარვა		
გადახდილი პროცენტები		
გადახდილი დივიდენდები		
სხვა შემოსულობანი/გაცემები საფინანსო საქმიანობიდან (ნეტო)	-1499195	51390
ფულადი სახსრების წმინდა ნაზარდი საფინანსო საქმიანობიდან	-1499195	51390
ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა/კლება (ნეტო)	-7539	-46077
ფულადი სახსრების წმინდა ნაზარდი:	-970891	1111467
ფულადი სახსრები (ექვივალენტი) პერიოდის დასაწყისისათვის:	1320270	208803
ფულადი სახსრები (ექვივალენტი) პერიოდის ბოლოსათვის:	349379	1320270

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 09.05.2024წ

დირექტორი  რუსლან ჯუმუშაძე

თანხმდები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი

შპს სუპერმშენ + 445558833
 მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
 ერთეული 1GEL

	საანგარიშგებო პერიოდ	
	2022	2022
ნეტო ამონაგები	0	5384
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	0	-5384
მოგება ან ზარალი რეალ. ზაციიდან	0	0
მიწოდების ხარჯები	-7305	-38226
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-177397	-153127
და სულ საოპერაციო ხარჯები	-184702	-191353
ფინანსური შემოსავლები		
დადებითი საკურსოს სხვაობები	43254	45479
სხვა გაუთვალისწინებელი შემოსავლები	7673	26159
სულ არასაოპერაციო შემოსავლები	50927	71638
ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან		
ფინანსური დანახარჯები		
საგადასახადო ჯარიმები და საურავები		
უარყოფითი საკურსოს სხვაობები	-50512	-127267
სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები	-98	-120
სულ არასაოპერაციო ხარჯები	-50610	-127387
მოგება დაბეგვრამდე:	-184385	-247102
მოგების გადასახადის ხარჯი		
სულ პერიოდის მოგება ან ზარალი	-184385	-247102
მათ შორის მოგება ან ზარალი მისაკუთვნიებული:		
სათავო საწარმოს მესაკუთრეებზე	-184385	-247102
არამაკონტროლებელ წილზე		
სხვა სრული შემოსავალი		
სულ პერიოდის სხვა სრული შემოსავალი გადასახადის გამოკლებით	-184385	-247102
სულ საანგარიშო პერიოდის სრული შემოსავალი:	-184385	-247102
მათ შორის სრული შემოსავალი მისაკუთვნიებული:		
სათავო საწარმოს მესაკუთრეებზე	-184385	-247102
არამაკონტროლებელ წილზე		

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 09.05.2024წ

დირექტორი რუსლან ჯუმუშაძე

თანხმლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი

შპს სუპერმშენ + 445558833

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

ერთეული: 1GEL

	სააქციო/ საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილ. მოგება/ დაუფარავი ზარალი	სხვა სრული დამატები თი შენატანი შემოსავა ლი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 01.01.2022	200	-166403	3612834	3446631
სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლით გამოწვეული კორექტირებები				
შეცდომის გამოსწორებით გამოწვეული კორექტირებები				
კორექტირების შედეგად ლანგარიშებული ნაშთები				
საანგარიშო პერიოდის მოგება ან ზარალი		-247102		-247102
ძირ.საშ. და არამატ. აქტ. გადაფასებიდან შემოსული მოგება ან ზარალი				0
ფინანსური აქტივების შეფასებიდან შემოსულობები ან ზარალი				0
სხვა ცვლილებები სრულ შემოსავალში				
საანგარიშო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		-247102		-247102
მესაკუთრების დამატებითი შენატანი კაპიტალში			51390	51390
საკუთარი წილობრიბი ინსტრუმენტების გამოსყიდვა მესაკუთრებისაგან				
განაწილებული დივიდენდი				0
სულ მესაკუთრებთან განხორციელებული ოპერაციები	0	0	51390	51390
ნაშთი 01.01.2023-თვის	200	-413505	3664224	3250919
სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლით გამოწვეული კორექტირებები				
შეცდომის გასწორებით გამოწვეული კორექტირებები				
კორექტირების შედეგად გადანაწილებული ნაშთები				
საანგარიშო პერიოდის მოგება ან ზარალი		-184385		-184385
ძირ.საშ. და არამატ. აქტ. გადაფასებიდან შემოსულობები ან ზარალი				
ფინანსური აქტივების შეფასებიდან შემოსულობები ან ზარალი				
სხვა ცვლილებები სრულ შემოსავალში				
საანგარიშო პერიოდში მთლიანი სრული შემოსავალი		-184385		-184385
მესაკუთრების დამატებითი შენატანი კაპიტალში			120000	120000
მესაკუთრებისაგან კაპიტალის გატანა			-1619195	
განაწილებული დივიდენდი				0
სულ მესაკუთრებთან განხორციელებული ოპერაციები		0	-1499195	120000
ნაშთი 01.01.2024-თვის	200	-597890	2165029	1567339

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 09.05.2024წ

დირექტორი  რუსლან ჯუმუშაძე

თანხმლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი